ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

მაღალმთიან დასახლებებში მდებარე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისთვის „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სოციალური შეღავათების გაცემის შესახებ ინფორმაციის სსიპ -სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ

ქ. თბილისი 07 ივნისი 2017 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში- „**სამინისტრო**“), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით, ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (**შემდგომში - „სააგენტო“**), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის - **თენგიზ აბაზაძის** სახით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში - „მართვის სისტემა“), წარმოდგენილი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის - მაია სიმონიძის სახით (შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი),

ვხელმძღვანელობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის; „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის; „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართელოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დდგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, „მართვის სისტემის“ მიერ „სააგენტოსთვის“, მართვის სისტემის მიერ ადმინისტრირებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში - eSchool) არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მაღალმთიან დასახლებებში მდებარე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისთვის „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სოციალური შეღავათების (შემდგომში - დანამატი) გაცემის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ - პირადი ნომერი, თარიღი და ამ თარიღში აღნიშნული პირის მიერ მიღებული დანამატის ოდენობა.

1.2. „სააგენტოსთვის“, ამ მუხლის „1.1.“ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ამ ხელშეკრულებითა და ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. კავშირის უზრუნველყოფა

2.1. „სააგენტოსთვის“ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება „სამინისტროს“ ინფრასტრუქტურის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს მის გამართულ მუშაობასა და შეუფერხებლად გამოყენებას.

2.2. ინფორმაციის მისაწოდებლად მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

ბ) შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

გ) ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები ერთობლივად უზრუნველყოფენ დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურირებას (გამართვას), საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3. ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების აღრიცხვა, მხარეთა კომუნიკაცია

3.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. **მხარისათვის** გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის ან საფოსტო გზავნილის საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით დასაშვებია **მხარისათვის** შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, იმ პირობით, რომ **მხარის** მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

3.2. **მხარეები** ურთიერთობას განახორციელებენ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართების საშუალებით: **სააგენტოს და სამინისტროს მხრიდან, მთავარი სპეციალისტი - ზურაბ ბატიაშვილი (ელ-ფოსტა:** zbatiashvili@gov.ge, **ტელ: 577 944991).**

3.3. **მართვის სისტემის** მხრიდან: პროგრამისტი - ლაშა გურეშიძე (ელ-ფოსტა: services@emis.ge, ტელ: 568 28 88 84)

3.4. **სააგენტო** და **მართვის სისტემა** ვალდებულნი არიან აწარმოონ **ამ ხელშეკრულების 1-ლი მუხლით** გათვალისწინებულ ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების ელექტრონული აღრიცხვა (ლოგირება). კერძოდ:

3.4.1. **მართვის სისტემა** აღრიცხავს მისგან გაგზავნლი ინფორმაციის თითოეული მონაცემის გაგზავნის დროს და შინაარსს;

3.4.2. **მართვის სისტემა** უზრუნველყოფს სააგენტოსგან გამოგზავნილი ყოველი მოთხოვნის ავტორის (მომხმარებლის) იდენტიფიცირებას და აღრიცხვას;

3.4.3. **სააგენტო** უზურნველყოფს მისგან გაგზავნილი ყოველი მოთხოვნის ავტორის (მომხმარებლის) იდენტიფიცირებას და აღრიცხვას.

3.4.4. **სააგენტო** აღრიცხავს მიღებული ინფორმაციის თითოეული მონაცემის შინაარსს და შემოსვლის დროს.

მუხლი 4. ინფორმაციის მიწოდების პირობები

4.1. სააგენტო, „მართვის სისტემას" უგზავნის მოთხოვნას თარიღის მითითებით (შემდგომში - მოთხოვნის თარიღი), ხოლო „მართვის სისტემა" უზრუნველყოფს დროის უწყვეტ და რეალურ რეჟიმში (online რეჟიმში), მაღალმთიან დასახლებებში მდებარე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლების მიერ, მითითებული თარიღის პერიოდში მიღებული დანამტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას (ხელმისაწვდომობას).

4.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მოთხოვნის თარიღი უნდა იყოს გამოთხოვის თარიღზე არანკლებ ორი თვით ნაკლები.

4.3. „მართვის სისტემის" მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს: მასწავლებლის პირად ნომერს და მიღებული დანამატის ოდენობას თვეების მიხედვით.

4.4. პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ „სააგენტოს" მიერ დამუშავებული ინფორმაცია დაკავშირებულია მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, აგრეთვე, მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობაზე, ეკისრება „სააგენტოს".

4.5. „მართვის სისტემა" პასუხისმგებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, სააგენტოსთვის მიწოდებულ და eSchool -ში დაცულ ინფორმაციას შორის შესაბამისობასა და სისწორეზე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. **„სააგენტო" ვალდებულია:**

ა) „მართვის სისტემისაგან" მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ კანონიერი მიზნის მისაღწევად;

ბ) არ დაუშვას „მართვის სისტემისაგან" მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა). მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა, კოპირება/შენახვა და ა.შ., დაუშვებელია როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ. ამ პუნქტით გათვალისწინებული

აკრძალვიდან გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის შესაბამისი დამუშავება გამომდინარეობს და/ან დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით;

გ) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი არასანქცირებული ან/და შემთხვევითი დარღვევის, დაკარგვის, არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებელი გზით;

დ) ხელშეკრულების ფარგლებში აღრიცხოს პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღება, რომელიც „სააგენტოში" შეიძლება ინახებოდეს არანაკლებ 1 წლის განმავლობაში.

5.2. **„სააგენტო" უფლებამოსილია:**

ა) მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა, შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამართულობა;

ბ) გამოითხოვოს ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია, საჭიროების მიხედვით, არაერთჯერადად, წინამდებარე ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული პირობებით.

5.3. „მართვის სისტემა" ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად მიაწოდოს „სააგენტოს" ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) მონაცემთა წვდომზე წინასწარ ცნობილი შეფერხებ(ებ)ის ან ტექნიკური ცვლილებ(ებ)ის თაობაზე, აცნობოს „მხარეებს", არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

გ) „სააგენტოს" მიერ, პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, დანართი N1 შესაბამისად, ინფორმაცია გასცეს მყისიერად (დროის რეალურ რეჟიმში);

დ) იკისროს პასუხისმგებლობა სააგენტოსთვის მიწოდებულ და eSchool -ში დაცულ ინფორმაციას შორის შესაბამისობაზე.

5.4. „მართვის სისტემა" უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა, შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამართულობა;

ბ) „სააგენტოს" მოსთხოვოს ამ მუხლის „5.1." პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების წარმოდგენა, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით.

5.5. „სამინისტრო" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება;

ბ) მონაცემთა წვდომზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს", არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

5.6. „სამინისტრო" უფლებამოსილია მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. ამ ხელშკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ მემორანდუმის შესრულებაზე. მემორანდუმის შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მემორანდუმის სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულების შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა და მასში ცვლილებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8.2. თუ ამ მუხლის 8.1. პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლამდე რომელიმე მხარე წერილობით არ გამოთქვამს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, წინამდებარე ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად მომდევნო 1 (ერთი) კალენდარული წლით. ამ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა (პირობა) მოქმედებს ყოველი მომდევნო 1 (ერთი) წლიანი მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

8.4. ამ მუხლის 8.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების გარდა, ხელშეკრულება ავტომატურ რეჟიმში ჩაითვლება შეწყვეტილად, თუ გაუქმდა და/ან ძალადაკარგულად გამოცხადდა და/ან მოქმედება შეწყვიტა იმ ნორმატიულმა აქტმა (ან მისი ნაწილი, მუხლი, პუნქტი), რომლის შესასრულებლადაც დაიდო წინამდებარე ხელშეკრულება. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ გაუქმებული და/ან ძალადაკარგულად გამოცხადებული და/ან მოქმედება შეწყვეტილი ნორმატიული აქტის (ან მისი ნაწილის, მუხლს, პუნქტის) ნაცვლად, უფლებამოსილი ორგანოს და/ან პირის მიერ, მიღებულ (გამოცემულ) იქნა ახალი ნორმატიული აქტი რომელიც ცვლის მას.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით; ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

8.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

8.7. ხელშეკრულების დანართი N1 წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144
საიდენტიფიკაციო კოდი : 211333957

ზაზა სოფრომაძე
მინისტრის მოადგილე

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

თენგიზ აბაზაძის
დირექტორის მოადგილე

სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. N1ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 205300048

მაია სიმონიძე
უფროსი მოვალეობის შემსრულებელი

Full-url:
ssa.emis.ge/rest/teacherHighlandAppendages?key=95D88C65F2563064FA424F10C72&year=2017&month=10

Query-params:

- key=95D88C65F2563064FA424F10C72
  თქვენი api-key (გთხოვთ შეინახეთ უსაფრთხოთ)
- year წელი,
- month თვე [1,12] სეგმენტში

ყველა პარამეტრი აუცილებელია (წინააღმდეგ შემთხვევაში გექნებათ httpStatusCode=404)

შესაძლო რეზულტატი:

ყველა შემთხვევაში httpStatusCode=200, მაგრამ განსხვავდება კონტენტი.:

1. თუ key პარამეტრი არასწორად გადმოეცით (status=400):

{"status":403,"message":"Incorrect Credential","data":null}

2. თუ year, month წყვილი არასწორად გადმოეცით (მაგალითად მომავალი დრო გადმოეცით, ან ორ თვეზე უფრო ახალ მონაცემს ითხოვთ) (status=400):

{"status":400,"message":"Incorrect Date","data":null}

3. გაუთვალისწინებელი შეცდომა (status=500):

{"status":500,"message":"Internal Server Error","data":null}

4. წარმატებული რიქვესთი (status=200):

{"status":200,"message":null,"data":{"year":2016,"month":9,"appendages":[{"personalNo":"12345678910","appendage":94.0},{"personalNo":"10987654321","appendage":142.0}]}}